

პროლეტარეო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საერთაშორისო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 მარტი, საშუალო, 1989 წ.  
№ 46 (9965) • ფასი 3 კპ.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიკა



სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები გუნდი; მარცხნივ — სწრაფდაშვებაში გამარჯვებული ულა ლომინია, თორნიკე ბაქრაძის ფოტოები



„ლელო“ საბჭოთა კომუნისტური კორესპონდენტი ვაჰი გომორიშვილი და „სომხური სპორტის“ საკუთარი კორესპონდენტი ლავით პაპაბაძე გუდაურის ბელეფონით გაბატონდნენ.



## არნახული წარმატება

**საუცხოო** სანახაობის გამოაკლ-სონენ სამთოსათხილამურო სპორტის ის მოყვარულები, ვინც გუშინ გუდაურში ევროპის თასის გათამაშების მორიგ ეტაპს არ დას-წყრებია. სპეციალური სლალომის ტრასაზე მართლაც საუცხოო, ქე-შპარტად დრამატული სპექტაკლი გათამაშდა. თავად განსაჯეთ: იმ სპორტსმენთაგან, ვინც პირველი

ედის შემდეგ (სიმაღლეთა სხვაობა — 180 მეტრი, ვარების რაოდენობა — 51) უძლიერესთა ექვსეულში შედიოდა, ხუთმა მოთხილამურემ მეორე ეტაპზე დისტანციის დამთავრება ვერ შეძლო და ბრძოლას გამოეთიშა (მეორე ტრასაზე კარე-ბის რაოდენობა ერთი შემცირდა). სამთოსათხილამურეები ხში-რად ამბობენ, სლალომის შედეგ-

ბის წინასწარი გამოცნობა თითქ-მის შეუძლებელი არისო. მართლაც ასე ყოფილა. საქარისია აღინიშ-ნოს, რომ სტარტზე გამოსული 92 სპორტსმენიდან ორივე ტრასა უშ-ეცდომოდ მხოლოდ 47-მა გაიარა. გუდაურში საბაქრის მთაზე მოწ-ყობილი ტრასები ვერ დაძლიეს ევროპის თასის გათამაშების ისე-თმა ფავორიტებმაც კი, როგორც

არიან ავსტრიელები საბინე გინტ-ერი (მას თითქმის განადგებელი აქვს გამარჯვება საერთო ჩათვლა-ში), ინგრიდ შტიოკლი (იგი მსო-ფლიო ჩემპიონია იუნიორთა შო-რის), კარინ კოლოდერგი, ამერი-კელი მონიკ პელუტი, შვეიცარი-

იხ. გვ. 2 გვ



## ლელო მახვი

აშშ-ს საინჟინერო კორტებზე ქალთა და ვაჟთა რამდენიმე საერ-თაშორისო ტურნირი დაიშორდა. ჩვენი ყურადღება ბუნებრივად ოკ-ლაჰომა-სიტში მიმდინარე შეჯიბრე-ბისადმი იყო მიპყრობილი, რომელ-შიც საკმაოდ წარმატებით გამოდი-ოდა თბილისელი ლელო მახვი. კარგი სტარტის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე შეხვედრა მოიგო და ფინალში თამაშის უფლება მოიპო-ვა. აქ მისი მეტოქე გახლდათ პოლა-ნდიელი მანონ ბოლგრაფი, რომე-ლსაც სპეციალისტები ამ ტურნი-რის აღმოჩენად თვლიდნენ. პოლან-დიელმა ფინალისკენ მიმავალ გზა-ზე დაამარცხა საკმაოდ ავტორიტე-ული ჩოგბურთელები — ლარისა საეჩენკო (სსრ კავშირი) და რაფა-ელა რეჯი (იტალია). გადამწყვეტი ორთაბრძოლა ბოლგრაფმა მოიგო — 6:4, 6:4, მაგრამ მესხის მეორე ადგილს კომენტატორები საკმაოდ დიდ წარმატებად მიიჩნევენ.

## ლიდერობს საბაქრაძე

**გაიმართა** მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონა-ტის III და IV ტურების შეხვე-დრები. III ტურში საინტერესო გამო-დგა ნინო ხურციძისა და თამილა მესხის პარტია. მეტოქეებმა სი-ცილიური დაცვის ერთ-ერთი ბე-ტულური ვარიანტი გათამაშეს. შედეგმა სწრაფად გაათანაბრეს პო-ზიცია, ფიგურები გაიცვალა და მეტოქეები მალე დახვდნენ. დანარჩენი პარტიები ასე დამ-თავრდა: ხუგაშვილი-კობახიძე — 0:1, ჩიკოვსკაია-ტერეშაძე — 1:0, ჯანჯღავა-ალიხანაშვილი — 1:0, ლაგვილაძე-მერკლიშვილი — 1:0, ქასოშვილი-ეძგვირაძე — 0,5:0,5, თვაური-კურცხალია — 0,5:0,5. გადატანილია ფაზიროვა-მელაშვილისა და სალუნიშვილ-თანდაშვილის პარტიები. IV ტურში ყურადღების ცენტ-რში იყო ლიდერების ნატო ეძგ-

ვირადისა და ნათია ჯანჯღავას შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში ეძგვირაძემ შეძლო ჭუპირატესო-ბის მიღება. და როცა მისმა „D“ პაიკმა მე-7 ჰორიზონტალს მია-ღწია, ჯანჯღავამ თავი დამარცხე-ბულად ცნო. სხვა პარტიების შედეგები ასე-ითია: კობახიძე-მესხი — 0:1, მერე-კლიშვილი ფაზიროვა — 0:1, მუ-რცხალია-ხურციძე — 0,5:0,5, თა-ნდაშვილი-თვაური — 0,5:0,5, მე-ლაშვილი-საღუნისშვილი — 0,5:0,5, ალიხანაშვილი-ლაგვილაძე — 0,5:0,5, ტერეშაძე-ქასოშვილი — 0,5:0,5, ვადაილი ხუგაშვილი-ჩიკოვსკაიას პარტია. 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით შეჯიბრებას სათავეში ერთდროუ-ლად სამი მოჭადრაკე ჩაუდგა, ესენია: ნათია ჯანჯღავა, ნინო ხუ-რციძე და ნატო ეძგვირაძე. 2,5-ქულა აქვს თამილა მესხს. **თამარ ხშილაშვილი.**



ბრისტინა ფალასანიდი.

მსოფლიო ჩემპიონატი მალე მოსვლავს (დასურული დარგაუბის დარგაუბისთვის)

## მედიკი და რეკორდები

**გუდაურში.** დამთავრდა მძლე-ოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი (დაბურულ დარბაზში). შეჯიბრების პროცესში გაუმჯობესდა ხუთი მსო-ფლიო რეკორდი, რაც მონაწილეთა კარგ მომზადებაზე მიგვიანიშნებს. საბჭოთა სპორტსმენთაგან ოქ-როს მედლები მოიპოვეს: სიგარძე-ზე სტომამში გალინა ჩისტიაკოვა — 698 სმ, ჰოკიტი სტომამში როლიონ გატაულინმა — 585 სმ, 60 მ. თარგბენში ელიზაბეტა ჩერნიშო-ვა — 7,82 და 5 კმ სპორტულ სიარულში მიხეილ შჩენიკოვა — 18,27,10 (ახალი მსოფლიო რეკორ-დი).

გთავაზობთ უძლიერეს ქვეყნების სამეულს, რომლებმაც ყველაზე ბევრი ჯილდო დაიმსახურეს:

	I	II	III	სულ
სსრკ	4	5	4	13
აშშ	4	3	4	11
გდრ	2	2	4	8

## ხრისტინა ფალასანიდის ორი ბრინჯაოს მედალი

**მოსკოვის** სპორტკომპლექს „ოლიმპისკიში“ მიმდინარეობს დი-დი საერთაშორისო ტურნირი სინ-ქრონულ ცურვაში. ყურნალ „სო-ვეტსკაია ენეშინას“ პრიზზე. ას-პარეზობის მთავარ ფავორიტებად, ცხადია, აშშ-სა და კანადის სპო-

რტსმენები ითვლებოდნენ, მაგრამ მათ, ამჯერად, სერიოზული კონ-კურენცია გაუწია თბილისელმა ხრისტინა ფალასანიდმა. სოლისტთა შეჯიბრებაში სავალ-დებულო პროგრამის შემდეგ ლი-დერთა სამეული ასე გამოიყუ-

რებოდა: 1. კ. ბაბი (აშშ) — 92,94 ქულა, 2. ს. ფრეშეტი (კანადა) — 92,45, 3. ხ. ფალასანიდი (სსრ კა-ვშირი) — 86,78. ნებისმიერ პრო-გრამას ლიდერთა სამეული წყობა არ დაურღვევია. პირველი ადგილი და მთავარი პრიზი ბაბმა



**სტაბი** და ხობში, სამტრედი-აში, ვანსა და ცხაკაიაში დასრუ-ლდება ჰაბუა ფეხბურთელთა საე-რთაშორისო ტურნირი. ყურნალ „სმენას“ პრიზზე. ასპარეზობაზე, რომელიც საინტერესოდ, დაძაბუ-ლად მიმდინარეობს, უკვე გამოვლი-ნდნენ ლიდერები და აუტსაიდერე-ბი. ქვეყნუფლებში პირველი ადგი-ლების პრეტენდენტებს სულ თითო ქულა აქვთ დაკარგული. „ა“ ქვეყნუ-ფში საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა ფრედ (0:0) ითამაშა უკ-რაინის ძლიერ გუნდთან და აქ სწო-

## საერთაშორისო ბურნიკი შურნალ „სმენას“ პრიზზე გოგონა ტურის ფინ

რედ ეს გუნდები აცხადებენ პრე-ტენზიას პირველ ადგილზე. ანა-ლოგიური სიტუაციაა „ბ“ ჯგუფ-შიც, სადაც საქართველოს ჰაბუა ფეხბურთელები გამოდიან. აქაც 5-5 ქულით ლიდერობენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდი და ამ ტურ-ნირის შარშანდელი გამარჯვებული საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრები. 4 მარტს საქართველოს ნაკრები ისვენებდა. ამ დღეს დიდი ინტე-რესი გამოიწვია მატჩმა ვანის სტა-დიონზე საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებსა და რუმინეთის გუნდს

შორის. ამ შეხვედრამდე რუმინე-ლი ფეხბურთელები საქართველოს ნაკრებთან ერთად 3 ქულით პირ-ველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ. საბჭოთა გუნდს კი მასპინძლეთან ფრედ დამთავრებული მატჩის შე-მდეგ მხოლოდ გამარჯვებაზე უნ-და ეფიქრა. მან ამ მოხანს მიაღწია კიდევ: თამაშის პირველ ნახე-ვარში ჩუდინისა და ლებელის მი-ერ. გატანილ ორ ბურთს რუმინე-

იხ. გვ. 3 გვ

# გუდაური საერთო კლტასეპას ინვესტიციური

## არნახული წარმატება

(დასასრული)

კლი ანიკ შაპო, ფრანგი ნატალი და სხვანი. ყველაზე სტაბილურად იასპარეზა „სტრეილა“ სტეფანი შუსტერმა, რომელმაც, როგორც პირველი, ისე მეორე ტრასაზე, მესამე შედეგი აჩვენა — 44,74 და 47,26. ჯამში მისი



დრო (1.32,00) საუკეთესო აღმოჩნდა. შუსტერს წამის ერთი მე-ასედით (!) ჩამორჩა დასავლეთგერმანელი ჰელგა ლაცაი — 1.32,01 (45,28 და 46,73). სხვათა შორის, ლაცაის დრო მეორე ცდაზე საუკეთესო იყო. პირველი ცდის შემდეგ ყველაზე დიდი „ნახტიმი“ გააკეთა შვედმა აასა ანდერსონმა — XIV-დან III ადგილზე გადაინაცვლა — 1.32,62 (45,77 და 46,85). საბჭოთა სპორტსმენთაგან სხვებზე უკეთ იასპარეზა 24 წლის ლეოგენმა ოლგა ლოგინოვა: XVI ადგილი — 1.35,41 (47,31 და 48,10). სამაგიეროდ, წინა დღეს სწრაფდაშვებაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს ბადალი არ ჰყავდათ. ე. წ. კულდების მთის 3189 მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეა სხვაობა — 700 მ) კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზა 17 წლის რიგელმა ულა ლოძინა — 1.44,43. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანატოლი და თანაგუნდელი, კამჩატკის პეტროპავლოვსკელი ვარვარა ხელენსაია — 1.45,70. მესამე ადგილზე საბინე გინტერი — 1.45,99. უძლიერესთა ექვსეულში კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი შევიდა

— ლარისა მაიერი და ნატალია ზამულა.

სპეციალურ სკალომში ნახევრები შედეგები, 4 მარტს ჩატარებულ სწრაფდაშვებასთან ერთად, შევიდა კომბინაციის ჩათვლაში. აქ ყველას აჯობა სტეფანი შუსტერმა — 23,94 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა შვეიცარიელი გაბი მაი —



27,83, მესამეზე — მირიამ ფოგტი (გფრ) — 40,10. ულა ლოძინა 50,02 ქულით მე-5 ადგილზეა.

— ეს არნახული წარმატება ჩვენი სამთო-საბილამური სპორტის ისტორიაში — გვიტხრა ასპარეზობის დამთავრების შემდეგ საკავშირო სპორტსახელოსნის სახელმწიფო მწვრთნელმა ლეონიდ ტიაგანოვმა.



### გიგლიოთეკა

— ჩვენი გოგონების მიერ გულურობით ნახევრები შედეგები უფლებას მძალავს ვამტკიცო, რომ ერთ-ერთი წელიწადში ისინი მსოფლიო თასის გათამაშებაშიც ღირსეულ მებრძოლებს გაუწევენ აღიარებულ ოსტატებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ლიდერები — ულა ლოძინა, ვერა ხელენსაია და ლარისა მაიერი 17-17 წლისანი არიან, ჩვენი ნაკრების სამომავლო პერსპექტივა ურიგო არ უნდა იყოს.

### საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ათლეტიკაში

## ტრავმებით მოპოვებული გამარჯვება

ათლეტიკაში საბჭოთა კავშირში საქმოდ მძიმედ გაიკვალა გზა. ჯი დიხანს იყო — არალეგალური მდგომარეობაში და ამოდ ცდილობდა მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვებას. მოსახლეობის გაზრდილობა ინტერესმა და იმანაც, რომ საზღვარგარეთ გამართული მსოფლიო ჩემპიონატები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც იქნა, სპორტის ეს სახეობა ჩვენიც დაამტკიცა. 1986-87 წლებში ლიტვის ქალაქ შიაულიაში გამართა საკავშირო ტურნირები, სადაც საქართველოს ათლეტებმა თავი გამოიჩინეს. პირად პირველობაში გაიმარჯვეს ზურაბ ჭავჭავაძემ, ვლადიმერ ბედიასვილი და შოთა ბეჟაშვილი. მეორე ადგილები დაიკავეს ელგუჯა კვიციანიამ, დავით დავითაშვილმა და რევაზ ლუბენცმა. სამწუხაროდ, შარბინა საკავშირო თასის პირველ გათამაშებაში, მძიმე წონაში, მიღებული შოთა ბეჟაშვილის გამარჯვების მიუხედავად, გუნდი ბოლოს წინა ადგილზე გავიდა და იმუღებელი გახდა წელს, საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატში (სტასნოვოსკი) უფრო სუსტად, ვიდრე იქნებოდა. ამ ჩემპიონატში საქართველოს ათლეტებმა გუნდური შეჯიბრება დიდ უპირატესობით მოიგეს და „ა“ ჯგუფში გამოსვლის უფლება მოიპოვეს (საქართველომ და ლატვიამ „ა“ ჯგუფში ბოლო ორ ადგილზე გამოსული უკრაინისა და რსფსრის გუნდების ადგილები დაიკავეს), თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაიმარჯვა. საუკეთესო შედეგი, ოქ-

როს მედალი ჰქონდა ჩვენი გუნდის ლიდერს შოთა ბეჟაშვილს. მესამე ადგილზე გავიდნენ თბილისელი ათლეტები ალექსანდრე აბულაძე (100 კგ წონითი კატეგორია) და რობერტ არაქელოვი (110 კგ). IV, VII, VIII ადგილები შესაბამისად დაიკავეს თბილისელმა ვლადიმერ ბედიასვილმა (82,5), თეოდორე ბედიასვილი და სიღნაღელმა დავით მეზაბიშვილმა (ორივე 75 კგ). ამას გარდა, საბჭოთა კავშირის რეკორდები დაამყარეს დავით ბეჟაშვილმა (260 კგ), რობერტ არაქელოვმა (323 — ორივე კლასიკური ბუქნი) და შოთა ბეჟაშვილმა (270 კგ წოლში). საქართველოს გუნდმა, შეიძლება ითქვას, პროგრამა მაქსიმუმში შეასრულა — უმალეს ჯგუფში გადავიდა, მაგრამ ამ შეჯიბრებამ ბევრი საფიქრალი გავიჩინა. საქმე ისაა, რომ საქართველოს ნაკრების შეიდი წევრიდან ექვსმა საქმოდ მძიმე ტრავმა მიიღო. ბერძნმა მათგანმა შეჯიბრება ვერც კი დაასრულა. ამ არასასიამოვნო ფაქტის კომენტარი ვთხოვეთ გუნდის ხელმძღვანელს ზაზა ჯაფარიძეს, რომელმაც თქვა: — სამწუხაროდ, ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ ტრავმებს ვერ გადავურჩებოდით. ამის მიზეზი, ცხადია, ის იყო, რომ გუნდი შეჯიბრებისათვის სათანადოდ ვერ მოემზადა. თუ რამ შეეცდებოდა ხელი, ამას უფრო ფართო განმარტება სჭირდება. საქმე ისაა, რომ სპორტსაზოგადოებების გაერთიანებამ-

დე, რესპუბლიკის პროფსაბპოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების დავალებით, სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“ გვიწვავდა მებრძოლებს. წელიწადში ოთხჯერ გვმზავდა შეჯიბრები, თითქმის მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი ვიყავით კვებით, მედიკამენტებით, გვემსახურებოდა ექიმი და სამი მასაჟისტი, რაც მთავრად, გვექონდა საუკეთესო სპორტული დარბაზი (იჯარით), რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე სპორტული ინვენტარით, თუმცა ეს აღჭურვილობა ჩვენი სახსრებით იყო შექმნილი. თქვენ რომ წარმოგვანა გქონდეთ რა დატვირთვის იღებენ ათლეტები, გეტყვი, რომ თითოეულ მათგანს დღეში 60-80



შოთა ბეჟაშვილი.

ტონის დაძლევა უწევს. ამ დატვირთვის კი შესაბამისი პირობები სჭირდება. სამწუხაროდ, სპორტსაზოგადოების გაერთიანების შემდეგ დაგროვილი უსასხროდ და უსასოროდ. ერთ-ერთი იმედი ისრა იყო, რომ ჩვენი ნახევრად ოციკლიურ ყოფას კანონიერი სტატუსი ჰქონდა. შარბინა, 20 მისი თბილისში ჩატარდა დამფუძნებელი პლენუმი, სადაც შეიქმნა საქართველოს პროფკავშირების ათლეტების ფედერაცია და დოცენტ კო-

### ნსტანტინე ზაუტაშვილის სახელობის ათლეტიკის კლუბი „ამირანი“

აქვე შემუშავდა დებულება, რომლის თანახმად უნდა გვქონოდა საშტატო ერთეულები (დირექტორი, ბუღალტერი, კადრების განყოფილება) როგორც ცენტრალური, ისე ოეგონალური და საუწყებო ფილიალებისთვის. აქვე უნდა გითხრათ, რომ მოსკოვში, ვილიუსში, კრასნოიარსკში, ლენინგრადში, ტალინში უკვე არსებობს ათლეტკლებში თათვის ბიუჯეტითა და საშტატო ერთეულებით. ყველა მათგანი იმყოფება ლიტვანიაში. პლენუმის შემდეგ ცხრა თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ყველა ჩვენი გადაწყვეტილება ქაღალდს არ ვასცილებია. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ათლეტები თავის შესაძლებლობებზე უფლარებულად სუსტად გამოვიდნენ.

— დღესდღეობით ჩვენს გუნდს ვერაინ გავტოვებ. პირადი შეხვედრები „ა“ და „ბ“ ჯგუფის საერთო ჩათვლაში რომ შესულიყო, გამარჯვების კარგი შანსი ექნებოდა დათო ბეჟაშვილს, ბესიკ ლინიაშვილს და შოთა ბეჟაშვილს, აგრეთვე — ვლადიმერ ბედიასვილს, დათო მეზაბიშვილს, ალექსანდრე აბულაძეს და რობერტ არაქელოვს.

— თუ ისინი ერთი წლის საარსებო თანხას გამოგვიყოფენ, მეორე წელს თვითდაფინანსებაზე გადავალთ, ეს რაც უფრო მალე მოხდება, მით უფრო დანაშაულები საქართველოში ათლეტიზმის განვითარება. იმედი გვაქვს; პროფკავშირების რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება სათანადო ყურადღებას მოგვაქცევს, მით უმეტეს, რომ ივენისში თბილისში უნდა ჩატარდეს საკავშირო პროფკავშირების პირველი თასის გათამაშება ათლეტიზმში.

### ჯამალ ქასრაძე.

რედაქციისთვის: მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ ზ. ჯაფარიძის ზოგიერთი მოსაზრება და მოთხოვნა საკამათოა.

### განხილვაში უპირატესობა

ჩონხატაურში ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის პირად-გუნდური ზონალური ტურნირი ქალბავშვში. თითოეულ გუნდში ოთხი ქალბავშვი და ორი გოგონა გამოდიოდა.

შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით, 9 ტურად გაიმართა, მონაწილეობდნენ ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშის, გვერდნის, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩონხატაურის რაიონის მოჭადრაკეები.

35 ქულით გუნდური I ადგილი დაიკავა მასპინძელთა ნაკრებმა. 34,5 ქულით II ადგილზე გავიდა მახარაძის ნაკრები. III ადგილი ლანჩხუთელ მოჭადრაკეებს ხვდათ წილად — 32,5 ქულა.

პირად პირველობაში პირველ დაფაზე 9 ქულით I ადგილი დაიკავა გივი ქორბიძე (ჩონხატაური).

### ამირან გარამნიშვილი, ჩონხატაურის საჭადრაკო კლუბის დირექტორი, შეჯიბრების მთავარი მსახი. რესპუბლიკური კატეგორიის მსახი.

### გამარჯვებული ივანეშვილი

ლინარაშვილი (ესპანეთი) დამთავრებულ მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატმა ვასილი ივანეშვილმა. მან ყინით დამთავრა ბოლო შეხვედრა (ლაითო პარტიზთან) და 7,5 ქულა მთავრდოდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ექსპერტიზის ანატოლი კარპოვი.

### კარდიოში თუ გაიარაჯვებან...

ზაბათს, რეგისტრატა ხუთი ერის პირველობაზე გამართა მეოთხე ტურის შეხვედრები. ლონდონის გარეუბან თვიქნემში, ტურნირის მეთაურს მატჩში, ინგლისელებმა ფრანგებს უმასპინძლეს. თამაში ბრიტანელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, რაშიც „ლომის წილი“ მათმა მორკინალებმა დაიღეს. შეხვედრებზე ინგლისელთა ზანგი გაიმარტა — ოთხი გარღვევა შუამარბმა ქარლინგმა ლულოს გატანით დაავიწროვინა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ უფრო იძალადეს, ფრანგების მარჯვე სამეოთხედლები საერთოდ უზურთოდ

დატოვეს, რასაც სტუმართა დამრტყმელის — ლაფონის უხვირო თამაშიც დაერთო: მან სამი საჯარიმო ააცილია კარს. სამაგიეროდ ინგლისელმა ენდრიუმ შეავლო ერთი საჯარიმო, მატჩის ბოლოს კი რობინსონმა ლულოც გაიტანა — 11:0 (4:0). ეს მარცხი სტუმრებისთვის იმიტომაც იყო საწყენი, რომ წლევედელი სეზონისთვის ინგლისელებს საგანგებოდ ამზადებდა ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ყან ვილპრე.



შედევინი გამოდგა. შოტლანდიელებმა ხუთი ლოლო გაიტანეს, ირლანდიელებმა — სამი. შოტლანდიელთა გარემარბმა თუქალემ სამჯერ ისახელა თავი, ირლანდიელმა შუამარბმა მალინმა კი — ორჯერ. შესვენებამდე მასპინძლები, ერთი პირობა, საგრძობლად დაწინაურდნენ — 19:6, მაგრამ ტაიმის ბოლო ათ წუთში სტუმრებმა ერთბაშად 15 ქულა მოაგროვეს და თავად გაიტყნენ წინ — 21:19. თამაშის განახლებისთანავე შოტლანდიელებმა უმაღ ხელთ იგდეს ინიციაცივა და მატჩი ფაქტურად ზელმეორედ მოიგეს — 37:21. გამარჯ-



გებულთა დამრტყმელმა დონსმა ამ დღეს გუნდს 17 ქულა შესძინა. ბოლო ტურის (ჩატარდება 18

მარტს, ერთმანეთს შეხვედებიან საფრანგეთისა და შოტლანდიის, უელსისა და ინგლისის გუნდები) წინ ინგლისელებსა და შოტლანდიელებს 5-5 ქულა აქვთ, ფრანგებს — 4, ირლანდიელებს — 2 (მათ უკვე დამთავრეს ასპარეზობა), უელსელებს — 0. თუ ინგლისელები სტუმრად გაიმარჯვებენ, ჩემპიონობას მოიპოვებენ. ურთი შეხვედრით, ეს ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ აგერ უკვე 26 წელია, ინგლისის გუნდს კარდიოს „არშუ ფარქე“ თამაში არ მოუფას. ასე რომ, ფსიქოლოგიური უპირატესობა ამ დღეს წლევედელი პირველობის აუტსაიდერის — უელსის ნაკრების მხარეზე იქნება.






# SOS ასე ვიყენებთ სპორტულ ბაზებს?

როგორც ადრე ვიუწყებოდით, საქართველოს სპორტსახეობაში ამას წინათ გამართულ კოლეგიის სხდომაზე იმსჯელეს პროფკავშირთა სპორტსახეობების სპორტსახეობათა სამმართველოს მცხეთის ხანძარის ბაზაზე შექმნილ უოვლად მიუტყვებელ მდგომარეობაზე. ბაზა ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, ფინანსური სირთულეების დაძლევის

ძიებისას აქ იოლი ვაიძინდენ — დანერგეს ისეთი ფასიანი მომსახურება, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სპორტთან და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობასთან. (აქ ავტომანქანების შემკეთებელი სააქროც კი ვახსენებ). ბაზა ხელმიწვებულია. ეს ფაქტორები კოლეგიის სხდომის შემდეგ გადაიღო ჩვენმა კორესპონდენტმა აღექვანდრე კოტორაშვილმა.

აი, ასე გამოიყურება სპორტული ბაზა, რომელიც მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს რესპუბლიკაში ნიჩბოსნობის განვითარების საქმეში. ზედა სურათებზე: ავტომანქანების შემკეთებელი სახელოსნო ძველ ელინგში (მარცხნივ); მიუხაფარი ნაგებობა; საფარიანი აუზი, რომლის დანადგარი მწყობრიდანაა გამოხული; ბაზის მთავარი შენობა საერთო საცხოვრებელი.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ყვალბურთში

### ცივი უხაპი ყვალბას აუხიზლებს

თბილისი. საქართველოს სპორტსახეობის ცენტრალური სახეობა-საწვრთნელი კომპლექსის საცურაო აუზი. „დინამო“ (თბილისი) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) 6:9 (0:5, 3:1, 0:1, 3:2). „დინამო“: მიხეილ გიორგაძე, მიხეილ გიორგაძე (II), ზუმბულოძე, კუტივაძე, დავითიანი, შაქარაიანი, რამიშვილი; ბადათურია, გვახარია, ბითაძე, ნიკოლაიშვილი, კანდელაკი, გონაძე. „უნივერსიტეტი“: შაროფიევი, იანკოვი, ვორონკოვი, პანკოვი, მოროზოვი, კურბატოვი, ნაუშოვი; ყუმულსკი, ჩეკუნოვი, უხოვი, ზაიონცი, ლობტევი, უოლოზოვი.

ლი თამაშით უმაღლესი ანგარიში ვახსენებ. პირველ გოლს მეორე მოხვევა. ამ მომენტისთვის გულშემატკვრებელმა და თავად დინამოელებმა ალბათ ფიქრობდნენ, რომ ასაღებელი არაფერი იყო და ყველაფერი შემთხვევითობას მიაწერეს. მაგრამ შემთხვევით ბურთები კარში არ გადის, ან — ძალზე იშვიათად.

ასე იყო თუ ისე, ვიდრე თბილისელები გონს მოვიდოდნენ, მოსკოველებმა მათი კარი მესამედ აღეკვეს.



ეს უკვე მეტისმეტი იყო და დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა გივი ჩიქვანიამ მეკარის გარდა მთელი შემადგენლობა გამოცვალა (რა თქმა უნდა, მეორე ისინი, მონაცვლეობით, კვლავ სარბიელზე გამოვიდნენ), მაგრამ მასპინძლები, როგორც იტყვიან, ნაკადუნში აღმოჩნდნენ და „უნივერსიტეტი“ პირველ პერიოდში კიდევ ორი უბასუხო ბურთი გაიტანა. 0:5! ასე დამთავრდა პირველი პერიოდი. მართალია, წინ კიდევ სამი პერიოდი იყო, მაგრამ „უნივერსიტეტი“ ის გუნდი არაა, რომ ასეთი უპირატესობა ხელიდან გაეშვა. ამ გუნდთან 5 ბურთის გაქვითვა არათუ თბილისის „დინამოს“, ნებისმიერი ქვეყნის ნაკრებსაც ძალზე გაუჭირდება. სასწაული არ მომხდარა. თბილისელები დამარცხდნენ, მაგრამ მათ სასახელოდ მიიღეს უნდა ითქვას, რომ მეორე პერიოდის მოყოლებული ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შოკიდან გამოვიდნენ და მდგომარეობის გამო-

წორებს მთელი მონდომებით შეეცადნენ. საამისოდ არც ძალა დაუზოგავთ, არც ენერჯია. მასპინძლებმა მეორე პერიოდში ანგარიშში სხვაობა ორამდეც კი შეამციროს.

ერთი სიტყვით, მეორე პერიოდის მიყოლებული შეხვედრა, მცირე უპირატესობით, თბილისელთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა და „დინამო“ კვლავ იმ მებრძოლ გუნდად წარმოვიდგა, როგორცაც წლებგანდელ სეზონში ვხედავდით, მაგრამ...

აღსანიშნავია, რომ მეორე პერიოდის თბილისელებმა რიცხობრივი უპირატესობა ექვსიდან ოთხჯერ გამოიყენეს, ხოლო სტუმრებმა რვა ასეთი შემთხვევიდან მისხანს მხოლოდ ორჯერ მიაღწიეს. ამასთან, მასპინძელთა შეკარგე პენალტიც მოიგვრია.

რა თქმა უნდა, ამ მარცხით არც დინამოელებმა და არც მათმა გულ-

## გამარჯვება სსა-სთან

ბაიბარტა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგე მატჩები.

მოსკოვი. ქვეყნის ჩემპიონმა ადგილობრივმა ცსკა-მ პირველი მატჩი თბილისის „დინამოს“ დიდი უპირატესობით მოუგო — 114:62. საფიქრებელი იყო, რომ არბიელი კალათბურთელები თავიანთ შანსს არც მეორე შეხვედრაში გაუშვებდნენ. მაგრამ „დინამომ“ არა მარტო შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონს, არამედ ტაიმი მოიგო კიდევ — 43:38. შესვენების შემდეგაც ბრძოლა უაღრესად დამაბული და მძაფრი იყო. თბილისელებმა შეინარჩუნეს მინიმალური უპირატესობა და ვაიბარჯვეს 73:71. გამაყვარებელი გრძობით უნდა აღვნიშნოთ, რომ „დინამომ“ შეტარდა საკუთარი გამარჯვება მოიპოვა.

კაუნასი. „სპორტისის“ და დონეცის „შახტორის“ მეორე მატჩიც (პირველი ლიტველმა კალათბურთელებმა 17 ქულით მოიგეს) მასპინძლების უღავთ უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 113:91.

რიზა. ქიევის „სტროიტელი“ საკმაოდ დამაჯერებლად მიიწევს ჩემ-

პიონატის ფინიშსაკენ. ეს გუნდი დაკარგული ქულებით დღეისათვის მეორე ადგილზე იმყოფება. ჩვენ უკვე ვიუწყებდით იმის შესახებ, რომ „სტროიტელმა“ პირველი მატჩი მოუგო ადგილობრივ ვეფს 24 ქულით. განმეორებით შეხვედრაში უკრაინელებს უფრო გაუჭირდათ, თუმცა ბრძოლა მაინც თავიანთი სასარგებლოდ დაამთავრეს 88:78.

ვილნიუსი. ადგილობრივ „სტროიტელს“ და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა პირველი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 92:76 (44:43).

**ბათუმაშავის ცხრილი,**

მდგომარეობა	6 მარტისთვის.
„დინამო“ (შ.)	32 21 11 53
„სპორტისი“ (სსა)	30 20 10 50
„სპორტისი“ (სსა)	29 20 9 49
„სპორტისი“ (სსა)	24 22 2 46
„სპორტისი“ (სსა)	30 15 15 45
„სპორტისი“ (სსა)	24 20 4 44
„სპორტისი“ (სსა)	29 15 14 44
„დინამო“ (თბ.)	52 12 20 44
ვეფს (რიგა)	33 4 29 37
„სპორტისი“ (ლენ.)	30 6 24 36
რტი (მინსკი)	25 10 15 35
„შახტ.“ (დონ.)	26 7 19 33

## ჩოგბურთის ამბავი

დალასი. როგორც ჩანს, წარსულში სახელგანთქმული ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროუ თავის ჩვეულ სპორტულ ფორმას იბრუნებს. მან აქ მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირის ფინალში თანამემამულე ბრედ პიტერტი დაამარცხა — 6:3, 6:3, 7:6.

შეგვიხარია ორი „მარათონული“ მატჩი ჩაატარა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია). მეოთხედფინალში ოთხსაათნახევრიან ბრძოლაში დიდი გაპირებებით აჯობა შვეიცარიელ იაკობ ხლამეკს — 7:6, 1:6, 7:6, 6:7, 7:6. ნახევარფინალში ლენდლი მაკინროუსთან დამარცხდა მძიმე სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ 7:6, 6:7, 2:6, 5:7.

სან-ანტონიო. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალმა შტეფი გრაფმა (გფრ) აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში ამერიკელ ენ ჰენრიკსონს აჯობა — 6:1, 6:4 და პირველი ადგილი დაიკავა. სტატისტიკოსთა მონაცემებით გრაფმა თავისი, არც ისე ხანგრძლივი, სპორტული ბიოგრაფია 33-ე ტურნირის მოგებით აღნიშნა.

## საფეხბურთო კავშირის თასზე

ამ დღეებში გაიმართა სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის რამდენიმე მატჩი: „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ხენიტი“ (ლენინგრადი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სტორპელო“ (მოსკოვი) 0:2, „დინამო“ (ქიევი) — „ჩერნომორეცი“ (ოლესა) 0:0.

## „სპორტლოტო“

ბაზინფონი მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეათე ტორაქები. „სპორტლოტო 6 45“-იდან: 15 (ბიბარბოთა და კანოებოთ ნიჩბოსნობა), 16 (საცენოსნო სპორტი), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის პოეტი), 37 (აკრობატიკა), 44 (ქადრაკი). „სპორტლოტო 5 36“-იდან: 6 (ბიბარბოთა) 9 (საგზატყვილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 29 (სასტენლო სროლა).

რედაქტორი თ. ბაჩაჩილაძე.

ჩვენის მისამართი: წერილებისთვის — 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მაროვი“ — 93-97-27.

53950 054330 66435

საქართველოს კ. ც. -ს გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა და სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის მფლობელი თბილისის ქ. 14, იბეჭელება ოცხეტი წიგნი საგანთო კორპუსში: ხოზარაულის, 29.